

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

[Handwritten signature in blue ink]

„17 04“ 2015 წელი

ეგზ. №1

ახალგორის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში *აღ 28/00*

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ.....	5
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	8
შენობა-ნაგებობები	8
შრომის ანაზღაურება.....	8
ოფისის ხარჯი.....	9
წარმომადგენლობითი ხარჯი	10
წმინდა ღირებულება	10
არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა	11
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	11
2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	12
შენობა-ნაგებობები	12
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი.....	13
შრომის ანაზღაურება.....	13
წარმომადგენლობითი ხარჯი	14
ოფისის ხარჯი.....	14
წმინდა ღირებულება	15
არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა	15
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	16
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა.....	17
ახალგორის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	18
ახალგორის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება	35
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	52
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	52

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2013-2014 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან

განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ


ახალგორის მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირები განახორციელოს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, კერძოდ, ის ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათ დახმარებას და სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებამდე.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, ძირითადად მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. გარდა ამისა, სხვადასხვა ღონისძიებების შესასრულებლად მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება სპეციალური ტრანსფერით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად კი იღებს მიზნობრივ ტრანსფერს.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013-2014 წლებში ახალგორის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა სულ 4042.5 ათასი ლარი შეადგინა. შემოსულობებიდან 4027.9 ათასი ლარი (99.6%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს, მათ შორის: 3734.0 ათასი ლარი - გათანაბრებითი ტრანსფერია, 180.0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი, ხოლო

დანარჩენი 113.9 ათასი ლარი - სპეციალური ტრანსფერი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს 14.6 ათასი ლარის შემოსავალი მიღებული აქვს გადასახადებისა და სხვა შემოსავლების სახით.


2012-2013 წლების მიღებული შემოსულობები



2013-2014 წლების ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა სულ 4030.9 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 4027.1 ათას ლარს შეადგენს ხარჯები, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 3.8 ათასი ლარია.

2013-2014 წლების ხარჯების კლასიფიკაცია

(ათასი ლარი)



აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2013 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

შენობა-ნაგებობები

გარემოება. 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით მუნიციპალიტეტის მიერ დევნილთა დასახლებაში (წეროვანში) აშენებულია სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლის შენობა, ღირებულებით 33.3 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სკოლის მშენებლობა დამთავრდა 2012 წელს, ხოლო ფუნქციონირებას შეუდგა 2013 წლის ოქტომბრიდან. სკოლის შენობის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების პროცესი მიმდინარეობს. ფინანსურ ანგარიშგებაში სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლის შენობის ნაცვლად „შენობა-ნაგებობის“ მუხლისა, აღრიცხულია „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში და არ ერიცხება ცვეთა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა, №5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი შემცირებულია 33.3 ათასი ლარით. შესაბამისად, აღნიშნული თანხით გაზდილია „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლი.

- რადგან სკოლის შენობა არ არის აღრიცხული შენობა-ნაგებობებში, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №3 და №5) დასარიცხი ცვეთის თანხით ნაკლებია წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

შრომის ანაზღაურება

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს შტატგარეშე მომუშავეებზე პრემიის სახით მიცემული ანაზღაურება 5.0 ათასი ლარი „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის (ქვემუხლი - „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“)

ნაცვლად, ნაჩვენებია (დამატებულია) „ხელფასების“ მუხლში („პრემიის“ ქვემუხლში). გაცემული პრემიები 83.0 ათასი ლარის ნაცვლად ნაჩვენებია 88.0 ათასი ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 44.2 ათასი ლარის ნაცვლად - 39.2 ათასი ლარით.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ხელფასების“ მუხლი გაზრდილია 5.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი („შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“).

ოფისის ხარჯი

გარემოება 1. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესგან“ შეძენილია მომსახურება - მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გამოქვეყნება, თანხით 3.8 ათასი ლარი¹. მომსახურება გაწეულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, მაშინ, როდესაც ეს ხარჯი მიეკუთვნება „ოფისის ხარჯებს“. ანალოგიურად არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში ი/მ „მერაბ ბალაშვილისგან“ შეძენილი ნორმატიული აქტებისა და სხვა ინფორმაციის გაზეთში დაბეჭდვისა და მიწოდების მომსახურება, თანხით 18.0 ათასი ლარი².

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 21.8 ათასი ლარით და ამავე თანხით გაზრდილია მუხლი - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

გარემოება 2. შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალგორის რაიონული სამმართველოს მიერ 2012 წლის დეკემბრის თვეში გაწეული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ხარჯმა შეადგინა 1.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული ხარჯი დაფარულია 2013 წელს. ამდენად, 2012 წელს გაწეული

¹ ხელშეკრულება №1-003 (11.01.2013).

² ხელშეკრულება №6 (11.01.2013) და ხელშეკრულება №18 (08.02.2013).

ფაქტობრივი ხარჯი აღრიცხული და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2013 წელს.

გავლენა

- ფაქტობრივი ხარჯების დროში არასწორი გამიჯვნის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა, №2) „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი შემცირებულია 1.1 ათასი ლარით. შესაბამისად, აღნიშნული თანხით გაზდილია „ოფისის ხარჯების“ ფაქტობრივი მაჩვენებელი.

- აღნიშნული გავლენას ახდენს აგრეთვე ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა, №3) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

წარმომადგენლობითი ხარჯი

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ აღდგომის დღესასწაულზე თანამშრომლებისთვის საჩუქრების შეძენის თანხა - 1.3 ათასი ლარი³, აღრიცხულია „წარმომადგენლობით ხარჯში“. აღნიშნული ხარჯი უნდა ასახულიყო მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), 1.3 ათასი ლარით გაზრდილად წარმოდგენილი „წარმომადგენლობითი ხარჯის“ მუხლი და ამავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

წმინდა ღირებულება

გარემოება. მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები (გამოთანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები)

³ შპს „კრალსმანი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება №42 (30.04.2013).

-1947.3 ათასი ლარი და გადასახადები და სხვა შემოსავლები - 6.6 ათასი ლარი, „შემოსავლების“ ნაცვლად ნაჩვენებია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლში.

გავლენა

„ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი ბალანსის დანართ ფორმა №3-ში.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი საწვავი (ბენზინი, დიზელი და დაწნეხილი გაზი) - ღირებულებით 24.0 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგების“ ნაცვლად, ნაჩვენებია „ფულად დოკუმენტების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5), „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები“ წარმოდგენილია „ფულად დოკუმენტების“ მუხლში.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ახალგორის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

შენობა-ნაგებობები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს დევნილთა დასახლებაში (წეროვანში) აშენდა სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლის შენობა - ღირებულებით 33.3 ათასი ლარი. სკოლა ფუნქციონირებას შეუდგა 2013 წელს. 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული შენობა ნაცვლად „შენობა-ნაგებობის“ მუხლისა, აღრიცხულია მუხლში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები“ და არ ერიცხება ცვეთა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა, №5) „შენობა-ნაგებობის“ მუხლი შემცირებულია 33.3 ათასი ლარით, შესაბამისად, აღნიშნული თანხით გაზდილია „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლი.
- რადგან სკოლის შენობა არ არის აღრიცხული „შენობა-ნაგებობების“ მუხლში, დასარიცხი ცვეთის თანხით ნაკლებია წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. 2014 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან გადაეცა 2 კომპიუტერი, ღირებულებით 2.0 ათასი ლარი, რაზედაც შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი. აქტში არ არის აღნიშნული ქონების გადმოცემის ფორმა (ჩუქება, თხოვება და სხვ.). ქონება მუნიციპალიტეტის მიერ აღრიცხულია ბალანსგარეშე საცნობარო მუხლში.

კანონმდებლობის მიხედვით⁴, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას სარგებლობის უფლების გამცემი პირი ბალანსიდან იხსნის გადაცემულ სახელმწიფო ქონებას, ხოლო სარგებლობის უფლებით მიმღებ პირს ბალანსზე აჰყავს აღნიშნული ქონება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1 და ბალანსი - დანართი ფორმა, №5) „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 2.0 ათასი ლარით. შესაბამისად, აღნიშნული თანხით არ არის გაზდილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

- რადგან კომპიუტერები არ არის აღრიცხული მანქანა-დანადგარებში, დასარიცხი ცვეთის თანხით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმები №2, №3 და №5) წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

შრომის ანაზღაურება

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს შტატგარეშე მომუშავეებზე პრემიის სახით მიცემული ანაზღაურება - 6.3 ათასი ლარი, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის (ქვემუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“)

⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 35-ე.

ნაცვლად, ნაჩვენებია (დამატებულია) „ხელფასების“ მუხლში („პრემიის“ ქვემუხლში). ფინანსურ ანგარიშგებაში გაცემული პრემიები 104.4 ათასი ლარის ნაცვლად წარმოდგენილია 110.7 ათასი ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 60.3 ათასი ლარის ნაცვლად - 54.0 ათასი ლარი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ხელფასების“ მუხლი გაზრდილია 6.3 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი („შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“).

წარმომადგენლობითი ხარჯი

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ აღდგომის დღესასწაულზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის საჩუქრების შეძენის თანხა - 0.7 ათასი ლარი⁵, აღრიცხულია „წარმომადგენლობით ხარჯში“. აღნიშნული ხარჯი უნდა ასახულიყო მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2), 0.7 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი „წარმომადგენლობითი ხარჯის“ მუხლი და ამავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

ოფისის ხარჯი

გარემოება. მუნიციპალიტეტისათვის ბანერებისა და მოსაწვევების დამზადების, აგრეთვე სხვადასხვა მომსახურების თანხა - 0.5 ათასი ლარი, გაწეულია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებას“ მუხლიდან, მაშინ, როდესაც ისინი მიეკუთვნება „ოფისის ხარჯებს“.

გავლენა

⁵ ი/მ „ლელა ხუციშვილი“, ხელშეკრულება №38 (15.04.2014).

ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ოფისის ხარჯების“ მუხლი შემცირებული 0.5 ათასი ლარით და ამავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი.

წმინდა ღირებულება

გარემოება. მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები (გამოთანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები) -2080.6 ათასი ლარი და გადასახადები და სხვა შემოსავლები - 8.0 ათასი ლარი, „შემოსავლების“ ნაცვლად ნაჩვენებია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლში.

გავლენა

„ორგანიზაციის ანგარიშში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი ბალანსის დანართ ფორმა №3-ში.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

გარემოება 1. კერძო აუდიტმა განახორციელა ახალგორის მუნიციპალიტეტის კუთვნილი 3 ავტოსატრანსპორტო საშუალების, სამგზავრო ავტობუსების, შეფასება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტს ერიცხება 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ. შეფასებით ქონების ღირებულებამ შეადგინა 7.0 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) ამ ქონების გაფასების თანხა „სხვა მიღებების“ ნაცვლად, ნაჩვენებია „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ მიღებულის“ გრაფაში.

აუდიტის მიერ განხორციელდა აგრეთვე სხვა 3 ავტოსატრანსპორტო საშუალების (2 სამგზავრო ავტობუსი და ერთი მსუბუქი მანქანა) გადაფასება. გადაფასების შედეგად ქონების ღირებულება შემცირებულია 7.0 ათასი ლარით.

აღნიშნული თანხა „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ ნაცვლად, ნაჩვენებია „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ გაცემის“ გრაფაში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5), გაზრდილია „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ მიღებულის“ და „იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ გაცემის“ მუხლები 7.0 ათასი ლარით და ამავე თანხითაა შემცირებული წარმოდგენილი „სხვა მიღებების“ და „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლების მაჩვენებელი.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი საწვავი (ბენზინი, დიზელი და დაწნეხილი გაზი) - ღირებულებით 31.3 ათასი ლარი, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგების“ ნაცვლად ნაჩვენებია „ფულადი დოკუმენტების“ მუხლში.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში - „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5), „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები“ წარმოდგენილია „ფულადი დოკუმენტების“ მუხლში.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წეროვანში მდებარე შენობაში. აღნიშნული შენობა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. 2014 წელს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მცხეთის მუნიციპალიტეტისგან მოითხოვა აღნიშნული შენობისა და სხვა ქონების⁶ გადმოცემა, მაგრამ ქონება ჯერჯერობით გადმოცემული არ არის.

⁶ კულტურის სახლი, საბავშვო ბაღი, წყალსადენის სისტემა და სხვა ქონება.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ახალგორის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ახალგორის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ახალგორის მუნიციპალიტეტი

ჩამატების ვადა:

ჩაბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური (2014 წლის პირველი იანვრისათვის)

ზომის ერთეული: ლარი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნიშნები	ნაშთი წლის ფინანსური	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	წალდი ფულადი სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	წალდი ფულადი სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	16700	56858
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის საგადასახადო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ვეკივალენტებზე აქტივების/მოშსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ვეკივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მოშსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	81	5264
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	არაფინანსური აქტივების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330		1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		200
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	547	488
410	შენობა-ნაგებობები	2110		
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	66073	47581
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130		
440	დაუმთავრებული ძირითადი აქტივი	2140	33338	33338
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
460	ფასულობები	2300		
470	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ზალანსი		116739	143729

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება ახალგაზრდის მუნიციპალიტეტი

კოდი _____

პერიოდულობა: წლიური _____

2014 წლის _____ პირველი ოქტომბერი _____ თვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამოთვალა	კოდი	დასტოვებული ჯამი	დასტოვებული ჯამი	გადახდვების გადახდვების	მოხდენა	გადახდა (ხაზის ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივი ხარჯი და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	I. ხარჯები	2	1933400	1964000			1913742	1925553	
020	I.1 შრომის ანაზღაურება	21	567900	585000			583493	583293	
030	I.1.1 ხელფასები	211	567900	585000			583493	583293	
040	I.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	567900	585000			583493	583293	
050	I.1.1.1.1 თანამდებობრივი ხარჯი	21111	524400	496300			495483	495283	
060	I.1.1.1.2 წოდებრივი ხარჯი	21112							
070	I.1.1.1.3 პრემია	21113	43500	88700			88010	88010	
080	I.1.1.1.4 დანაშატი	21114							
090	I.1.1.1.5 პენსია	21115							
100	I.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	I.1.1.2 ხელფასები ხაზის ფორმით	2112							
120	I.1.2 სოციალური შენატანები	212							
130	I.1.2.1 ფაქტობრივად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							
140	I.1.2.2 პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							
	I.2 საქონელი და მომსახურება	22	241600	233300			197318	190837	
	2.1.1 შტატგარეშე მომსახურება ანაზღაურება	221	40800	40400			39211	39211	
170	2.1.2 მიწისფლები	222	1500	1200			785	785	
180	2.1.3 ოფისის ხარჯები	223	29600	53200			48136	46581	
190	2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	10000	10300			8533	8493	
200	2.1.5 კვების ხარჯები	225							
210	2.1.6 სამდიცინო ხარჯები	226							
220	2.1.7 რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი პიჯეტის ხარჯების შეძენის ხარჯები	227							
230	2.1.8 ტრანსპორტი და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	61700	51200			43147	43213	
240	2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტექნიკური შენატანის ხარჯები	229							
250	2.1.10 სხვა დანართები საქონელი და მომსახურება	2210	98000	77000			57506	52554	
260	I.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						18492	

270	1.4 პროცენტი	24						
280	1.4.1 საგარეო ვალზე	241						
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411						
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412						
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413						
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალზე	2414						
330	1.4.2 საშინაო ვალზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242						
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალზე	243						
350	1.5 სუბსიდიები	25	902700	896600			890899	890899
360	1.6 გრანტები	26						
370	1.6.1 უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261						
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611						
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612						
400	1.6.2 საერთაშორისო ორგანიზაციებს	262						
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621						
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622						
430	1.6.3 სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263						
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631						
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632						
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	221200	225500			223708	223708
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271						
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711						
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712						
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	221200	223400			221714	221714
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	221200	223400			221714	221714
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722						
530	1.7.3 დამჭირებულების მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	2100			1994	1994
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731		2100			1994	1994
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732						
560	1.8 სხვა ხარჯები	28						
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281						
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811						
590	1.8.1.2 კვაზიკორპორაციების შემოსავლებიდან აღებულ დივიდენდები	2812						
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადას აღემატება	2813						
610	1.8.1.4 რანაზი	2814						

500	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282		23600			18324	18324	
510	1.8.2.1 მიმდინარე	2821		23600			18324	18324	
520	1.8.2.2 კაპიტალური	2822							
შინაგეგმვა შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
შ ა ნ ე ე ნ ე ე ე დ თ ა დ ა ს ა ხ ე დ ე ბ ა		სახელმწიფო ბიუჯეტით			არასახელმწიფო				
		წლიური კვეთით		ფრაქციურად		წლიური კვეთით		ფრაქციურად	
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა		74		74					
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა		10		10					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი 3. შერვაშიძე

მთავარი ბუღალტერი

პ.ა.



ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება ახალციხის მუნიციპალიტეტი კოდი _____

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2004 წლის მთველი ბანკის თვის წამის კრიტერიუმ დარი

სტრუქტურის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდი	შემაჯავრობების კოდი	დასაჯავრობების კოდი	დასაჯავრობების კოდი	დასაჯავრობების კოდი	დასაჯავრობების კოდი	დასაჯავრობების კოდი
1	2	3	4	5	6	7	8	9
010	1. არაფინანსური აქტივები	31						
020	1.1 ძირითადი აქტივები	311						
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111						
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111						
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112						
060	1.1.1.3 სხვა ნაგებობები	31113						
070	1.1.2 მანქანა-დანადგარები	3112						
080	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121						
090	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები	31122						
100	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113						
110	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131						
120	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132						
130	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321						
140	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322						
170	1.2 მატერიალური მარაგები	312						
180	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121						

190	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122						
200	1.2.2.1 წყალუქული და მასალები	31221						
210	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222						
220	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223						
230	1.2.2.4 შემდეგში რეალიზაციასთვის შეძენილი საქონელი	31224						
270	1.3 ფასეულობები	313						
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314						
320	1.4.1 მიწა	3141						
330	1.4.2 წიაღისეული	3142						
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143						
350	1.4.3.1 რადიოჩიხშირული სპექტრით ხარვეზდლობის ლოცონია	31431						
360	1.4.3.2 სხვა დაზარსენი ბუნებრივი აქტივები	31432						
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144						

ორიგინალი შენახულია



→ შეხვედრა
ქვემოთ

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ხაკისო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება _____ მასშტაბის შეზღუდვა _____

კოდი _____

პერიოდულობა: წლიური _____

2014 წლის _____ პერიოდის დასრულებამდე თვის ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშრონაუფალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეკლამაციების კოდი	დავტოვებული რეკლამაციის კოდი	დავტოვებული რეკლამაციის კოდი	დავტოვებული რეკლამაციის კოდი	დავტოვებული რეკლამაციის კოდი	დავტოვებული რეკლამაციის კოდი
1	2	3	4	5	6	7	8
010	I. ფინანსური აქტივები	32					
020	I.1 ხაზინა	321					
030	I.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
040	I.1.2 ფინანსური ქაღალდები, გარდა აქტივებისა	3213					
050	I.1.3 სესხები	3214					
060	I.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	I.1.5 სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	I.1.6 წარმომადგენელი ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
090	I.1.7 სხვა დებიტორული და ვალდებულებები	3218					
100	I.2 ხაზარა	322					
110	I.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	I.2.2 ფინანსური ქაღალდები, გარდა აქტივებისა	3223					
130	I.2.3 სესხები	3224					
140	I.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	I.2.5 სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	I.2.6 წარმომადგენელი ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	I.2.7 სხვა დებიტორული და ვალდებულებები	3228					

180	1.3 მონეტარული ოქრო და ნახევსობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33					
200	2.1 საშინაო	331					
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312					
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, ვარგა აქციებისა	3313					
230	2.1.3 ხესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მს. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318					
280	2.2 საგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, ვარგა აქციებისა	3323					
310	2.2.3 ხესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მს. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					



3. *გაბრიელა*
ქიქოძე

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება —————

კოდი —————

პერიოდულობა: წლიური 2014 წლის — პირველი იანვრისათვის — თვის

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებეტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	115311
7100	მომშენებელ ანაზღაურება	583293	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1953900
7200	საქონელი და მომსახურება	190837	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	18492	6000	შემოსავლები	
7310	მ.შ. ფიზიკური ცვლილება	18492	6300	მ.შ. გრანტები	
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდიები	890899			
7600	გრანტები				
7700	სოციალური უზრუნველყოფა	223708			
7800	სხვა ხარჯები	18324			
	აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება			აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600 -2000	პროფინანსური აქტივები		1600 -2000	პროფინანსური აქტივები	
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებიტო ბრუნვა			საკრედიტო ბრუნვა	
	სულ ჯამი:**	1925553		სულ ჯამი:***	2069211
	ნაშთი პერიოდის ზოლოს			ნაშთი პერიოდის ზოლოს	14,86,58

აღნიშნულ სტრიქონებზე დატანილი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსევებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

* სადებიტო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ემატება სადებიტო ბრუნვა

** საკრედიტო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი

თავარი მუდრავალი

ა.



ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: ასადგორის მუნიციპალიტეტი

პერიოდულობა: წლიური

2014 წლის — პირველი იანვრისათვის — 01

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურული კოდი	დასახელება	გდგმით	საკასო	ფაქტური
1	2	3	4	5
010	ფულადი სახსრების წამთი წლის დასაწყისისათვის			
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის წამთი წლის დასაწყისისათვის			
030	შემოსულობები			
040	საოპერაციო შემოსავლები			
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით			
060	გადასახდელები			
070	გრანტები			
080	სხვა შემოსავლები			
090	ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
100	ბ) საკონტო და მომსახურების რეალიზაცია			
110	გ) სანაწიველი, გარიგებები, საურავები			
120	დ) სტატისტიკური ტრანსფერები, გრანტების ზრდა			
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			
140	შემოსულობები			
150	არაფინანსური აქტივების კლება			
160	ფინანსური აქტივების კლება			
170	ვალდებულებების ზრდა			
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები			
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები			
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი		
220	1.1. შრომის ანაზღაურება	21		
230	1.2. საკონტო და მომსახურება	22		
240	1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23		
250	1.4. პროცესი	24		
260	1.5. სუბსიდიები	25		
270	1.6. გრანტები	26		
280	1.7. სოციალური უზრუნველყოფა	27		
290	1.8. სხვა ხარჯები	28		
300	გადასახდელები			
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31		
320	2.1. ძირითადი აქტივები	311		
330	2.2. მატერიალური მარაგები	312		
340	2.3. ფინანსური	313		
350	2.4. არაფინანსური აქტივები	314		
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32		
370	3.1. საშინაო	321		
380	3.2. საგარეო	322		
390	4. ვალდებულებების კლება	33		
400	4.1. საშინაო	331		
410	4.2. საგარეო	332		
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332		
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			
440	არასაოპერაციო შემოსავლები			
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი			
460	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
470	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება			
480	ვალდებულებების გადაცემა			
490	არასაოპერაციო ხარჯები			
500	კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი			
510	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
520	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			
530	ვალდებულებების მიღება			
540	მოგება/დადასაბადი			
550	წამთი წლის დასაწყისისათვის წილის			

იხ. ბუღალტრის
ს. ბუღალტრის
ბა

მ. შარვაშიძე

ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება

ახალციხის მუნიციპალიტეტი

პერიოდულობა: კვარტალიური, წლიური

2014 წლის —პირველი სამუშაოების— სემისტრის პერიოდული: ღარი

	უცხოურ ვალუტაში	ფოტოვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გვერდიური	საკასო	ფაქტობრივი
1 გრანტის მთლიანი მოცულობა					
2 მ.მ მიღებული თანხა					
3 მ.მ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4 მ.მ უკანასკნელი ჩარიცხვა					
1 ნაშთი პერიოდის დასაწყისში					
2 მიმდინარე წლის მოცულობა					
3 სულ (1+2)					
4 ხარჯები					
